ზეზვა ნაცვლიშვილი

თქვენი წარმომადგენელი პარლამენტში

27

ჩემი ბიოგრაფია

ჩემო ამომრჩეველო, ამ ჟურნალის საშუალებით მინდა, პირადად გაგეცნოთ და გიამბოთ იმ ინიციატივების შესახებ, რომელსაც პარლამენტში ჩემი არჩევის შემდეგ განვახორციელებ.

მინდა გითხრათ, რომ ჩემი ცხოვრება მთლიანად უკავშირდება ჩემს უბანს - სანზონას, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ამიტომ სასიამოვნოა იმის განცდა, რომ დღეს მიწევს წარვდგე ჩემი ბავშვობის მეგობრების, მეზობლებისა თუ ნაცნობების წინაშე ჩემთვის ახალ ამპლუაში - მაჟორიტარობის კანდიდატად.

მე 132-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. იმ დროისათვის ამ სკოლაში საუკეთესო პედაგოგები მოღვაწეობდნენ. თბილად მახსენდება სკოლის დირექტორი, ბატონი ოთარ თეთვაძე, რომელიც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და პროფესიონალი პედაგოგი გახლდათ; ასევე ჩემი კლასის დამრიგებელი, ქალბატონი ნელი ჭელიძე, რომელთანაც ყველა მის აღზრდილს განსაკუთრებული გრძნობები გვაკავშირებს.

ზაფხულობით არდადაგებს ქალაქ ფოთში ვატარებდი, სადაც ჩემი მასპინძელი იყო ბაბუა, პიმენ ნაცვლიშვილი - წლების მანძილზე ფოთის განათლების განყოფილების გამგე, სკოლის დირექტორი და ღვაწლმოსილი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი და ჩემი ბიძა, ცნობილი ექიმ-ტრამვატოლოგი, რომელიც დღემდე ამ მიმართულებით ფოთის საქალაქო სავადმყოფოში მუშაობს. ფოთში, ჩვენს ოჯახში, უამრავი ადამიანი იყრიდა თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ამიტომ, ჩემი მოგონებები, არამარტო ამ ქალაქთან, არამედ

ირაკლი აღასანია
თავისუფალი დემოკრატები

fb.com/natsvlishvili.zezva

თუ ცხოვრება გინდა მშვიდი, აირჩიე ოცდაშვიდი

ზეზვა ნაცვლიშვილის საარჩევნო შტაბის ცხელი ხაზი: 599 99 11 58

განსაკუთრებულ ურთიერთობებთან, მეგობრობასთან და ქვეყნის სიყვარულთან არის დაკავშირებული.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გავაგრძელე. ეს პერიოდი მთელი ჩემი თაობისთვის უმძიმესი აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომების გამო.

ჩემი პირველი სამუშაო გამოცდილებაც ჩემს უბანს, სანზონას უკავშირდება, როდესაც, 1987 წელს, მე-8 საავადმყოფოში სანიტრად დავიწყე მუშაობა; უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი მუშაობა გავაგრძელე ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ექიმ-ინტერნად, შემდეგ კი თბილისის საოჯახო მედიცინის ცენტრში, ექიმ-ურროლოგად. 2001 წლიდან მოყოლებული ვმუშაობდი სხვადასხვა სამედიცინო პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციაში, მოგვიანებით კი ვეწეოდი კერძო სამეწარმეო საქმიანობას.

ყოველთვის მინდოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შემეტანა წვლილი. ამიტომ 2011 წელს შევუერთდი მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „თავისუფალ დემოკრატებს“ და დღემდე ერთგული ვრჩები ამ პარტიის იდეოლოგიისა და ღირებულებების მიმართ.

ჩემი ოჯახი

მეუღლე - ეკა ქიტიაშვილი ჩემი საუკეთესო მეგობარი და ერთგული თანამებრძოლია. ის პროფესიით იურისტია და ეწევა წარმატებულ ბიზნესსაქმიანობას. ჩვენს ცხოვრებას ამშვენებს ორი ქალიშვილი - 12 წლის გვანცა და 9 წლის ნუცა. მინდა, ჩემი პოლიტიკური საქმიანობა მათი თაობის ბედნიერი მომავლის შექმნას მივუძღვნა.

ზეზვა საუკეთესო მეგობარია

მე და ზეზვა ჯგუფელები ვართ. ჩვენ, სტუდენტობის საუკეთესო წლები ერთად გავატარეთ. მე მას საუკეთესო მეგობრად მივიჩნევ, იმიტომ რომ ერთმანეთი ბევრ რთულ სიტუაციაში გამოვცადეთ. ბოლო კურსზე ღამით მორიგეობები გვიწევდა რესპუბლიკურ სავადმყოფოში. იმ პერიოდში ქვეყანაში იყო განუკითხაობა, არ იყო დენი და წყალი. შეიარაღებული პირები თარეშობდნენ მთელ ქვეყანაში. მისი საუკეთესო თვისებები სწორედ ამ დროს დავინახე. ამ კაცმა განსაცდელში და კრიზისულ სიტუაციებში თანადგომის საოცარი ნიჭი გამოავლინა, თუმცა ის ლხინშიც შეუცვლელია. ის ვერ იტანს უსამართლობას და სიმართლისათვის ბრძოლაც შეუძლია. ინსტიტუტში კალათბურთს ერთად ვთამაშობდით და წაგებულ სიტუაციებშიც ლიდერის ფუნქციებს მუდამ ის იღებდა ხოლმე. ბევრი თამაში მოგვიგია ასე. მინდა წარმატებები ვუსურვო ზეზვას და დაგარწმუნოთ, რომ მისი სახით საუკეთესო მეგობარს შეიძენთ.

ირაკლი პატარაია,
ჩიკაგოს სამედიცინო-ქირურგიული კლინიკის ექიმი-ქირურგი

გპირდებით მხოლოდ იმას, რისი შესრულებაც შეგვიძლია

ყველა ოჯახს ვპირდებით

- აუცილებელ საარსებო მინიმუმს განვსაზღვრავთ 250 ლარით, დღეს არსებული 160 ლარის ნაცვლად;
- მინიმალურ ხელფასს განვსაზღვრავთ 500 ლარის დონეზე. ვეღარავინ ამუშავებს ჩვენს მოქალაქეს საათში 3 ლარზე ნაკლებად;
- ბანკის სესხის პროცენტს არ დავბეგრავთ საშემოსავლო გადასახადით;
- მიკრობიზნესის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურ პირებს, რომელთა შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 80,000 ლარამდე, ნაცვლად არსებული 30,000 ლარისა;
- მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურ პირებს, რომელთა წლიური ბრუნვა იქნება 200,000 ლარამდე, ნაცვლად არსებული 100,000 ლარისა.

ჩვენ, „თავისუფალ დემოკრატებს“ მომზადებული გვაქვს 4 - წლიანი გეგმა, რომლის დადებითი შედეგები თითოეულ თქვენგანს შეეხება. ამ გეგმის მომზადებაში მთელი ჩვენი გუნდი მონაწილეობდა. ახლა მთავარია თქვენი მხარდაჭერა, რომ ამ გეგმით გათვალისწინებული ყველა დაპირება შესრულდეს. მიხარია, რომ დასახული გეგმის განხორციელებაში ჩვენი ნაძალადევისა და სანზონის მაჟორიტარობის კანდიდატი, ზეზვა ნაცვლიშვილი დაგვეხმარება.

ირაკლი აღასანია
თავისუფალი დემოკრატები

fb.com/natsvlishvili.zezva
თუ ცხოვრება გინდა მშვიდი, აირჩიე ოცდაშვიდი
ზეზვა ნაცვლიშვილის საარჩევნო შტაბის ცხელი ხაზი: 599 99 11 58

პენსიონერებს ვპირდებით

- ► პენსია გახდება 300 ლარი და ინფლაციის შესაბამისად, გაიზრდება ყოველწლიურად;
- ► პენსიონერებს, ასევე უმწეოებს, ბავშვებს 5 წლამდე, I და II ჯგუფის ინვალიდებს სამედიცინო სერვისებს სახელმწიფო 100%-ით დაუფინანსებს;
- ► შემუშავდება და გამოქვეყნდება პირველადი მოხმარების მედიკამენტების სია, რომელსაც შეისყიდის სახელმწიფო. ეს მედიკამენტები დარიგდება პირველადი ჯანდაცვის რგოლში და პაციენტები მიიღებენ უფასოდ, ოჯახის ექიმისგან, საჭიროებისამებრ.

ახალგაზრდობას ვპირდებით

- ► გავაუქმებთ ყველა სახის ნარკოტიკის მოხმარებისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ ვიქნებით მკაცრნი;
- ► განვახორციელებთ დასაქმებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამებს და მხარს დავუჭერთ სტაჟირების პროგრამის განხორციელებას;
- ► მნიშვნელოვან ადგილს დავუთმობთ ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის პოზიტიურად გამოყენებისაკენ მიმართული პროგრამის განხორციელებას.

ნაძალადევისა და სანზონის ახალგაზრდული პროექტები 2017-2020

მინდა გითხრათ, რომ დღეს ყველა მაჟორიტარ დეპუტატს სახელმწიფო უფინანსებს ბიუროს საქმიანობას, რათა ამომრჩეველთან მჭიდრო კავშირი შეინარჩუნონ მთელი 4 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასეთი ბიუროების არსებობისა და საქმიანობის შესახებ არაფერია ცნობილი ამომრჩევლებისთვის. მინდა, რომ ეს პრაქტიკა დავასრულო. ამიტომ დეპუტატად არჩევის შემდეგ ზეზვა ნაცვლიშვილის პარლამენტის მაჟორიტარის ბიურო 2017-2020 წლებში შემდეგ პროგრამებს განახორციელებს სანზონელი ახალგაზრდებისთვის:

- ► თანამედროვე პროფესიული ლიტერატურის **ბიბლიოთეკის** დაარსება.
- ► **ინტერნეტლაბორატორია**, სადაც ახალგაზრდები უფასოდ ისარგებლებენ ინტერნეტით; შეისწავლიან პროგრამირებას.
- ► დაარსდება სანზონის ყოველწლიური ფესტივალი **სანფესტი**.
- ► სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის შეიქმნება **ინგლისური ენის სწავლების** ინტენსიური სასწავლო კურსი.
- ► ბიზნესის დაწყების ხელშეწყობისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით, გაიხსნება **მეწარმეობისა და დასაქმების 3-თვიანი კურსი**.
- ► დაფუძნდება **პიროვნული განვითარების კაფე** სადაც, შაბათობით, ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას შესაძლებლობა ექნება, დაესწროს წარმატებული ადამიანების მასტერკლასებსა და სემინარებს.

ზეზვა ნაცვლიშვილი

დამკვეთი: მპგ „თავისუფალი დემოკრატები“
მის: რ. თბუაკაშვილის ქ. 27
დამზადებელი: შპს „ფავორიტი სტილი“, მის.: ჩუბინაშვილის ქ. N 50; ს/კ 404379294
ტირაჟი: 8 000; გამოშვების თარიღი: 20.09.2016